

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995222) 27 17 87 ელ. ფოსტა: <a href="mailto:info@bsu.edu.ge">info@bsu.edu.ge</a>
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	თურქეთისმცოდნეობა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	თურქეთისმცოდნეობის ბაკალავრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	240 კრედიტი
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<p>თურქეთისმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მოამზადოს თურქეთისმცოდნე სპეციალისტი;</li> <li>• სტუდენტს მისცეს ფართო ცოდნა თურქული ენის, ლიტერატურის, კულტურის, თურქეთის ისტორიის, ქართულ-თურქული კულტურულ – ისტორიული ურთიერთობების განვითარების თავისებურებათა შესახებ პრეისტორიული ხანიდან თანამედროვე პერიოდამდე;</li> <li>• ჩამოუყალიბოს სტუდენტს კრიტიკული აზროვნების უნარი, როგორც თურქეთის, ისე საქართველოს და მსოფლიოს ქვეყნების ურთიერთობის შესწავლისა და გაანალიზების კონტექსტში;</li> <li>• მისცეს სტუდენტს ადმოსავლური და ევროპული ენების (თურქული, ინგლისური) შესწავლის საშუალება, რათა მათ შეძლონ თურქული და ინგლისური ენებიდან ქართულად და პირიქით - ლიტერატურის, დოკუმენტების მოძიება და საშუალო სირთულის ტექსტების თარგმნა;</li> <li>• პროგრამის მიზანია ისეთი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების გამომუშავება, რომ კურსდამთავრებულებმა დასაქმება შეძლონ – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო სისტემაში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოებში, დიპლომატიურ (ადმოსავლეთის მიმართულებით), ტურიზმის, განათლების, სამუზეუმო, საარქივო, სამეცნიერო-კვლევით და სხვა სფეროებში, ასევე შეძლებენ სწავლა გააგრძელონ განათლების შემდეგ საფეხურზე.</li> <li>• აღზარდოს თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე მაღალ-კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი სპეციალისტი, რომელიც იქნება მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტიუობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულების პრინციპების მატარებელი თავისუფალი პიროვნება.</li> </ul>
წავლის შედეგები	<p><b>აქვს:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ფართო ცოდნა თურქეთის არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, გეოგრაფიის, კულტურის, თურქული ენის, ლიტერატურის, რელიგიის ისტორიის, თურქეთის ტურიზმის, თანამედროვე პერიოდის თურქეთის პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში;</li> <li>• ფართო ცოდნა ცალკეული ისტორიული მოვლენების, პრობლემების, ამა თუ იმ პერიოდის კულტურულ - პოლიტიკურ ვითარებებთან კავშირის გაცნობიერება და მათი დროში ცვალებადობის გაგება-გაანალიზების უნარი;</li> <li>• საფუძვლიანი ცოდნა თურქეთის, მათ შორის მსოფლიო ისტორიის (პრეისტორიული, ანტიკური, შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი, საქართველოს, კავკასიის, მახლობელი ადმოსავლეთის) ქრონოლოგიური მოვლენების შესახებ;</li> </ul> <p><b>აგნობიერებს :</b></p> <p>თანამედროვე მსოფლიოს განვითარება წარმოუდგენელია ხალხთა მშვიდობიანი და მეგობრული თანაცხოვრების გარეშე. ამის საფუძველი კი ერთმანეთის ისტორიული წარსულის შესწავლა, გაანალიზება, უძველესი ღირებულებებისა და კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემაში მდგომარეობს. ამის ნათელი მაგალითია, თურქეთისა და საქართველოს ისტორიული და თანამედროვე მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ურთიერთობა, რომელიც თანამედ- როვე ეტაპზე აქტუალურსა და სტრატეგიულად მნიშვნელოვანს ხდის ჩვენს საქმიანობას;</p> <p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მარტივი, გრამატიკული ფორმებისა და ლექსიკური მარაგის გამოყენებით თურქულ და ინგლისურ ენებში მარტივი, ადაპტირებული ტექსტების კითხვა, სწორედ კომენტირება და წაკითხულის შესახებ აზრის გამოხატვა;</li> <li>• თურქეთის, საქართველოსა და მსოფლიო ისტორიასთან მიმართებაში, თურქული, ქართული და ინგლისური ისტორიოგრაფიული ტექსტებისა და წყაროების კითხვა, სწორად კომენტირება, ანოტირება და გამოყენება;</li> <li>• თურქეთისმცოდნეობაში ინფორმაციის მოძიების საშუალებების ფლობა (ბიბლიოგრაფიული, ზეპირსიტყვიერი, საარქივო, სამუზეუმო, ელექტრონული) და</li> </ul>

	<p>მომიებული ინფორმაციის პრაქტიკაში გამოყენება.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• თურქეთისმცოდნეობაში წერილობითი, ნივთიერი, ბიბლიოგრაფიული და სხვა სახის მონაცემების შეგროვებითა და გამოყენებით სტუდენტი შეძლებს ისტორიოგრა- ფიულ პრობლემებთან მიმართებით შესაბამისი დასკვნების ჩამოყალიბებას;</li> <li>• წაკითხული ტექსტის ინტერპრეტაცია. მხატვრულ ტექსტში მოცემული ინფორმაციის გაანალიზება, კრიტიკული და ანალიტიკური დასკვნის გაკეთება.</li> <li>• მშობლიურ და უცხო ენებზე (თურქული, ინგლისური) (ზეპირი და წერილობითი), გამართული კომუნიკაცია, მხატვრული და ისტორიოგრაფიული ტექსტებისა და წყაროების კითხვის უნარი;</li> <li>• უცხო ენაზე (თურქული, ინგლისური) სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებული დისკუსია და დებატები; პრეზენტაციების ჩატარება ინტერნეტ რესურსების გამოყენებით;</li> <li>• საკუთარი სასწავლო პროცესის ორგანიზება დროის ეფექტური გამოყენების გზით;</li> <li>• ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მიღების, გადაამუშავებისა და შეთვისების, ასევე სპეციალური ლიტერატურის გამოყენების უნარი;</li> <li>• მიღებული ცოდნის მუდმივად განახლება;</li> <li>• კადემიურად მზად იქნებიან შემდგომ საფეხურზე (მაგისტრატურა) სწავლის გასაგრძელებლად.</li> <li>• თურქეთის ისტორიის, თურქული ენის, კულტურისა და ტრადიციების ცოდნა და პატივისცემა და მისი საზოგადოებაში დამკვიდრება;</li> <li>• თურქული და ასევე სხვა ენების და მისი მატარებელი ხალხის მიმართ ტოლერანტობის ჩამოყალიბება და პატივისცემის გრძნობის განვითარება.</li> </ul>
<p><b>შეფასების წესი</b></p>	<p>სტუდენტთა შეფასება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობითა და ბსუ-ს მიერ დადგენილი პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მიხედვით.</p> <p>სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:</p> <p>ა) შუალედურ შეფასებებს (ყოველდღიური აქტიურობა, მიმდინარე რეიტინგული შეფასება და შესაბამისი სილაბუსით გათვალისწინებული სხვა კომპონენტები);</p> <p>ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.</p> <p>სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, საიდანაც შუალედურ შეფასებას ეთმობა 60, ხოლო დასკვნითი გამოცდის მაქსიმალურ შეფასებას ეთმობა 40 ქულა. შეფასების მეთოდებიდან ძირითადად გამოიყენება: შუალედური და შემაჯამებელი (საგამოცდო) ტესტები, ზეპირი პრეზენტაციები, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, პრაქტიკის შეფასების მეთოდები, რომელიც დეტალურად გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.</p> <p>სტუდენტი ვალდებულია დაესწროს სალექციო მეცადინეობების მინიმუმ 50%-ს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება.</p> <p>შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 21 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 20 ქულა;</p> <p><b>სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:</b></p> <p>ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი;</p> <p>ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;</p> <p>გ) (C) კარგი - 71-80 ქულა;</p> <p>დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;</p> <p>ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა;</p> <p>ვ) (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.</p> <p>ზ) (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი.</p>
<p><b>საკონტაქტო პირი</b></p>	<p>თურქეთისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი:</p> <p><b>ემზარ მაკარაძე, პროფესორი</b></p> <p><b>ტელ:</b> 577 17 97 45</p> <p><b>ელ-ფოსტა:</b> <a href="mailto:emzar.makaradze@bsu.edu.ge">emzar.makaradze@bsu.edu.ge</a></p>